უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

07/08/2025

MES 5 25 0000966363

გადაწყვეტილება

„შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №51863 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

გადაწყვიტა:

1. „შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №51863 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს (ს/კ: 200002120) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 4 200-ით, აქედან ქ. ბათუმის მისამართზე 700 სტუდენტით, ხოლო ქ. თბილისის მისამართზე - 3500 სტუდენტით, მათ შორის ქ. თბილისის მისამართზე დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 950-ით".
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 07 აგვისტოს №966339 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მეორე შესახვევი, №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ

ᲖᲔᲚᲘᲗᲐᲠᲘᲚᲘᲐ
ᲖᲞᲐᲛᲔᲦᲡᲛᲔᲦᲘᲡ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ